პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

კომუნისტი ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი
2 ოქტომბერი
1939 წ.
№ 226 (5626)
ფასი 10 კაპ.

მშვიდობიანობის საბჭოთა პოლიტიკა და ხალხთა მეგობრობა

გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებას სსრ კავშირსა და გერმანიის შორის მეგობრობისა და საზღვრის შესახებ, სსრ კავშირისა და ესტონეთის რესპუბლიკის ურთიერთდამოკიდებულების პაქტს, რომლებიც გუშინ გამოქვეყნდა, საბჭოთა კავშირისა და გერმანიის მთავრობათა 1939 წლის 28 სექტემბრის განცხადებას და ამასთან დაკავშირებულ სხვა ცნობებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ არა მარტო ხელშეკრულების დამდებ სახელმწიფოთა ხალხებისათვის, არამედ მთელი ევროპის, მთელი მსოფლიოს ხალხებისთვისაც.

სსრ კავშირისა და გერმანიის, ევროპის ამ ორი ყველაზე დიდი სახელმწიფოს, მეგობრობისა და საზღვრის შესახები ხელშეკრულება წარმოადგენს კიდევ ერთ ბრწყინვალე დადასტურებას მშვიდობიანობის პოლიტიკისას, რომელსაც საბჭოთა მთავრობა ლენინ-სტალინის პარტიის პრინციპების შესაბამისად თანმიმდევრობით, მტკიცედ და გულწრფელად ახორციელებდა და ახორციელებს. სკ(ბ)კ XVIII ყრილობაზე ამხანაგმა სტალინმა მშვიდობიანობის საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ამოცანები ასე ჩამოაყალიბა:

„ჩვენ მხარს ვუჭერთ მშვიდობიანობას და საქმიანი კავშირის განმტკიცებას ყველა ქვეყანასთან, ვდგავართ და ვიდგებით ამ პოზიციაზე, რამდენადაც ეს ქვეყნები ფსონსაც ურთიერთობაში იქნებიან საბჭოთა კავშირთან, რამდენადაც ისინი არ შეეცდებიან დაარღვიონ ჩვენი ქვეყნის ინტერესები“.

ეს განსაკუთრებით შეეხება სსრ კავშირის მეზობელ სახელმწიფოებს. გერმანია და საბჭოთა კავშირი თანაბრად არიან დაინტერესებულნი კეთილმეზობლური, მშვიდობიანი, მეგობრული ურთიერთკავშირით. „ისტორიამ გვიჩვენა, რომ ჩვენს ქვეყანასა და გერმანიას შორის მტრობა და ომები ჩვენი ქვეყნებისათვის სასარგებლო კი არა, საზიანო იყო“ (მოლოტოვი). მშვიდობიანობა და მეგობრობა სსრ კავშირსა და გერმანიას შორის შეესაბამება აგრეთვე ევროპის ყველა ხალხის ინტერესებს. ევროპის აღმოსავლეთში შფოთის, მტრობისა და ურთიერთუნდობლობის ვითარება სასარგებლო იყო მხოლოდ მსოფლიო ომის გამჩაღებლების-ინგლისის მმართველი წრეებისათვის, რომლებიც შეეცდებიან ისევ ამ მიზნით გამოიყენონ ეს ვითარება.

ეს დანაშაულებრივი განზრახვა საბარაქვნო ჩაფუშვით დამთავრდა. პოლონეთის მთავრობა სრული ბანკროტი აღმოჩნდა. არასრულწლოვანი პოლონეთის ხალხები ბედის ანაბარა მიატოვეს. პოლონეთის სახელმწიფოს კრახი და მისი დაშლა არის იმ მთავრობათა პოლიტიკის კრახიც, რომლებიც მხარს უჭერდნენ პოლონელ ავანტურისტებს, აქეზებდნენ და აგულიანებდნენ მათ უაზრო და დანაშაულებრივი ომისათვის.

პოლონეთის სახელმწიფო სავსებით გაკოტრდა, იგი დაიშალა და ამით გზა გაუხსნა ყოველგვარ შემთხვევითობასა და მოულოდნელობას, რომელთაც შეეძლოთ საფრთხე შეექმნათ სსრ კავშირისათვის. სსრ კავშირის მთავრობამ გადასწყვიტა ძმური დახმარების ხელი გაეწოდებინა დასავლეთი უკრაინისა და დასავლეთი ბელორუსიის თვისტომი ხალხებისათვის, რომლებიც პოლონელმა ჯანგბმა შემთხვევის ანაბარა მიატოვეს. სახელოვანმა წითელმა არმიამ ჯანების სასტიკი უღლისაგან გაანთავისუფლა უკრაინელები და ბელორუსები, ხალხებს დაუბრუნა პოლონელი მტაცებლების მიერ წართმეული მიწები. უმგალითოა ის სიხარული და ზეიმი, რომლითაც ჩაგრული მოძმე ხალხები შეგებებიან თავიანთ განმათავისუფლებლებს.

საომარი მოქმედება დამთავრებულია. ევროპის აღმოსავლეთში მშვიდობიანობა და მოსვენება მყარდება. ზუსტად და საბოლოოდ დადგინდა საზღვარი ყოფილ პოლონეთის სახელმწიფო ტერიტორიაზე სსრ კავშირისა და გერმანიის ორმხრივ სახელმწიფო ინტერესებს შორის.

სსრ კავშირისა და ესტონეთის ურთიერთდახმარების პაქტი და საჯარო ხელშეკრულება უზრუნველჰყოფს მშვიდობიანობას ბალტიის ზღვის სანაპიროზე და ემსახურება ხელშეკრულების დამდებ სახელმწიფოთა ორმხრივ ინტერესებს.

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას სსრ კავშირისა და ესტონეთის ურთიერთი უშიშროება ყოველი მესამე სახელმწიფოს თავდასხმისაგან, „ესტონეთის რესპუბლიკა,—როგორც III მუხლი ამბობს,—უზრუნველჰყოფს საბჭოთა კავშირისათვის უფლებას იქონიოს ესტონეთის კუნძულებზე საარმიაზე (ეზელი), ხიიუმაზე (დაგო) და ქალაქ პალდისკში (ბალტიის ნავსადგური) სამხედრო-საზღვაო ფლოტის ბაზები და რამდენიმე აეროდრომი ავიაციისათვის, ოჯარის უფლებით ხელსაყრელ ფასად“. გარდა ამისა, საზღვაო ბაზებისა და აეროდრომების დაცვის მიზნით, სსრ კავშირს უფლება აქვს იყოლიოს თავისი ხარჯით ბაზებისა და აეროდრომისათვის გამოყოფილ უბნებში საბჭოთა სახმელეთო და საჰაერო შეიარაღებული ძალების მტკიცედ განსაზღვრული რაოდენობა, რომელთა მაქსიმალური რიცხვი განისაზღვრება განსაკუთრებული შეთანხმებით.

სსრ კავშირისა და ესტონეთის ურთიერთდახმარების ხელშეკრულება ანმტკიცებს ორივე სახელმწიფოს თავდაცვას, აფართოებს მათს ეკონომიურ ურთიერთობას და ხელს უწყობს საყოველთაო მშვიდობიანობის საქმეს.

აღმოსავლეთ ევროპაში აღდგენილია მტკიცე მშვიდობიანობა. თავისი პოლიტიკის ერთგული საბჭოთა მთავრობა ამას არ სჯერდება. იგი ცდილობს მილიონობით მშრომელთა ინტერესებისათვის, ევროპის კულტურის ინტერესებისათვის უზრუნველყოფილ იქნას მშვიდობიანობა მთელს ევროპაში, მთელს მსოფლიოში. არავითარი გამართლება არ არსებობს იმისათვის, რომ ომი სწარმოებდეს, ერთი მხრივ, გერმანიასა და, მეორე მხრივ, ინგლისსა და საფრანგეთს შორის! ომის მახვილი უკვე. იშიშვლეს და უკვე სისხლით შეღებეს. ჯერ კიდევ გვიან არ არის ეს მახვილი ქარქაშში ჩაგონ. სსრ კავშირისა და გერმანიის მეგობრობის ხელშეკრულება უდავოდ მოწმობს იმას, რომ არ არის ისეთი საკითხები, რომლებზედაც არ შეიძლებოდეს შეთანხმება, თუ კი არსებობს გულწრფელი სურვილი მშვიდობიანობისა და არა სურვილი მსოფლიო ომის გაჩაღებისა.

საბჭოთა კავშირისა და გერმანიის მთავრობათა 28 სექტემბრის განცხადება წარმოადგენს მოწოდებას ყველა ხალხისადმი — ლიკვიდირებულ იქნას დასავლეთის ფრონტზე დაწყებული ომი. გერმანიის მთავრობა აცხადებს, რომ იგი მზადაა ომი შესწყვიტოს. საბჭოთა მთავრობასთან ერთად იგი ყოველ ღონისძიებას იხმარს ამ მიზნის მისაღწევად. საჭირო შემთხვევაში სსრ კავშირისა და გერმანიის მთავრობები ამაში სხვა მეგობრულ სახელმწიფოებსაც ჩააბამენ.

საბჭოთა ხალხი მხურვალედ მიესალმება თავისი მთავრობის მტკიცე, ბრძნულ, სამშვიდობო პოლიტიკას. მთელს მსოფლიოში მილიონებს ესმით კეთილგონიერების ხმა. შემდგომი სისხლისღვრა, ძველ დანაშაულზე ახალ დანაშაულთა მიმატება შეიძლება სასარგებლო იყოს მხოლოდ პროვოკატორებისა და ფსინდისო პოლიტიკოსებისათვის, რომლებიც თავის დანაშაულს უმალავენ ხალხებს. ხალხებს ომი არ სურთ!

მდგომარეობა ნათელია. მხოლოდ ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებზეა ახლა დამოკიდებული, გაგრძელდეს თუ არა ხალხთა ნებასურვილის წინააღმდეგ დაწყებული ომი, რომელიც ახალი ხოცვა-ჟლეტით ემუქრება მთელ მსოფლიოს. და თუ სსრ კავშირისა და გერმანიის მთავრობათა ღონისძიებებს წარმატება არ მოჰყვა, გამოირკვევა ის ფაქტი, რომ ომის განგრძობის პასუხისმგებლობა ეკისრებათ ინგლისსა და საფრანგეთს, მათს მთავრობებს, მათს გაბატონებულ კლასებს.

მთელი საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად უჭერს მხარს თავისი მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკას. უშრეტ, მძლავრ ძალას წარმოადგენს იგი მშვიდობიანობისათვის ბრძოლაში, თავისი სამშობლოს წმინდა საზღვრების უძლეველ დაცვაში. ამ თავის ძალას საბჭოთა კავშირი განუხრელად მიმართავს ხალხთა შორის მშვიდობიანობის დასამყარებლად. სსრ კავშირი იყო, არის და დარჩება ბურჯი მშვიდობიანობისა და მთელი დედამიწის ხალხთა შორის მეგობრობისა.

„პრავდის“ მოწინავე, 1/X.

საქდესის ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ საბჭოთა კავშირ - ესტონეთის ურთიერთდახმარების პაქტის რატიფიკაციის შესახებ

29 სექტემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა რატიფიკაცია უყო საბჭოთა კავშირ-ესტონეთის ურთიერთდახმარების პაქტს, რომელიც დადებულ იქნა ა. წ. 28 სექტემბერს მოსკოვში.

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ბ-ნ სარაჯოღლუს მიღება ამხ. მოლოტოვის მიერ

1 ოქტომბერს შესდგა ამხანაგ მოლოტოვის საუბარი თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ სარაჯოღლუსთან საბჭოთა კავშირსა და თურქეთის ურთიერთობის აქტუალურ საკითხებზე.

საუბარში მონაწილეობა მიიღეს, ამხანაგებმა სტალინმა, პოტიომკინმა, დეკანოზოვმა და სსრ კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა თურქეთში ამხ. ტერენტიევმა, ხოლო თურქეთის მხრივ — თურქეთის ელჩმა სსრ კავშირში ბ-ნმა აქტაიმ. საუბარი 4 საათზე მეტ ხანს გაგრძელდა.

საღილი სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარესა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ამხ. ვ. მ. მოლოტოვთან ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ბ-ნ კ. სელტერის პატივსაცემად

ა.-წ. 29 სექტემბერს სსრ კავშირის სახალხო კომისარიათა საბჭოს თავმჯდომარემ და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა სადილი გამართა ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ბ-ნ კ. სელტერის პატივსაცემად. სადილს დაესწრნენ ბ-ნ მინისტრის მხლებელნი: სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე პროფ. ბ-ნი ი. ულუოტსი, პროფ. ბ-ნი ა. პიიპი და ბ-ნი კანა.

ესტონეთის მოსკოვის მისიის შემადგენლობიდან დაესწრნენ: ელჩი ბ-ნი რეი, ბ-ნი იოანსონი, ქ-ნი იოანსონი, ბ-ნი სინკა, ქ-ნი სინკა, ბ-ნი საუკასი, ბ-ნი მალბერგი, ქ-ნი მალბერგი.

გარდა ხსენებული პირებისა დაესწრნენ ამხანაგები: ი. ბ. სტალინი, კ. ე. ვოროშილოვი, ა. ი. მიქოიანი, ა. ფ. გორკინი, ვ. პ. პოტიომკინი, ვ. გ. დეკანოზოვი, ს. ა. ლოზოვსკი, კ. ა. მერეცკოვი, კ. ნ. ხიკიტინი, პ. ე. კრასნოვი, რ. პ. ხმელნიცკი, ს. პ. კოზირევი, ვ. ნ. ბარკოვი, ა. პ. ვასიუკოვი, ლ. მ. კურიპტევი და ა. ა. სობოლევი.

სადილის დროს ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა და ბ-ნმა კ. სელტერმა მისალმებელი სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს. სადილმა გაცხოველებულ და მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი იოახიმ ფონ-რიბენტროპი მოსკოვიდან გაემგზავრა

ა.-წ. 29 სექტემბერს ბ-ნ ფონ-რიბენტროპის, ბ-ნ ჰაუსის, ბ-ნი შნურეს და სხვ. თანხლებით მოსკოვიდან გაფრინდა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი იოახიმ ფონ-რიბენტროპი.

ცენტრალურ აეროპორტზე ბ-ნი ფონ რიბენტროპი გააცილეს: საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. ვ. პ. პოტიომკინმა, მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. მ. ა. იასნოვმა, სსრ კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა გერმანიაში ამხ. ა. ა. შკვარცევმა, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგემ ამხ. ვ. ნ. ბარკოვმა, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ცენტრალური ევროპის განყოფილების გამგემ ამხ. ა. მ. ალექსანდროვმა, გერმანიაში სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. ნ. პავლოვმა, ქალ. მოსკოვის კომენდანტმა პოლკოვნიკმა ამხ. ფ. ი. სუვოროვმა, გერმანიის მოსკოვის საელჩოს მთელმა შემადგენლობამ საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ბ-ნი ფონ-დერ შულენბურგის მეთაურობით და იტალიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ბ-ნმა როსომ.

ცენტრალური აეროპორტი ჭრელად იყო საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ალმებით. მინისტრის გასაცილებლად გამოყვანილ იქნა საპატიო ყარაული.

ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-ნმა კ. სელტერმა დაათვალიერა სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

ა. წ. 29 სექტემბერს ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-ნმა კ. სელტერმა, რომელსაც ახლდნენ სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე პროფესორი ბ-ნი ი. ულუოტსი, პროფესორი ბ-ნი ა. პიიპი, ესტონეთის ელჩი ბ-ნი რეი, სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ესტონეთში ამხ. კ. ნ. ხიკიტინი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ბალტიისპირა ქვეყნების განყოფილების გამგე ამხ. ა. პ. ვასიუკოვი და სხვები, დაათვალიერა სრულიად-საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენა.

მინისტრი მიიღო გამოფენის დირექტორმა აკადემიკოსმა ნ. ვ. ცირცონმა.

○

ა. წ. 29 სექტემბერს ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი კ. სელტერი დაესწრო ოპერა „ივან სუსანინის“ სპექტაკლს დიდ თეატრში. (საკდესი).

ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ბ-ნი კ. სელტერის მოსკოვიდან გაემგზავრა

ა.-წ. 30 სექტემბერს სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის პროფ. ბ-ნ ი. ულუოტსისა და პროფ. ბ-ნ ა. პიიპის თანხლებით მოსკოვიდან გაფრინდა ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი კ. სელტერი.

ცენტრალურ აეროდრომზე ბ-ნი კ. სელტერი გააცილეს: საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. ს. ა. ლოზოვსკიმ, მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. მ. ა. იასნოვმა, სსრ კავშირის სრულუფლებიანმა ესტონეთში ამხ. კ. ნ. ხიკიტინმა. სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგემ ამხ. ს. ნ. ბარკოვმა, ბალტიისპირა ქვეყნების განყოფილების გამგემ ამხ. ა. პ. ვასიუკოვმა, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სავაჭრო ხელშეკრულებათა განყოფილების უფროსის მოვალეობის აღმსრულებელმა ამხ. დ. დ. მიშუსტინმა, ქალ. მოსკოვის კომენდანტმა პოლკოვნიკმა ამხ. ვ. ა. რევიაკინმა. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგემ ამხ. ს. ა. ვშივკოვმა, ესტონეთის მისიის მთელმა შემადგენლობამ საგანგებო ელჩისა და სრულუფლებიანი მინისტრის ბ-ნ ა. რეის მეთაურობით.

ცენტრალური აეროპორტი მორთული იყო საბჭოთა კავშირისა და ესტონეთის ალმებით. მინისტრის გასაცილებლად გამოყვანილ იქნა საპატიო ყარაული.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში

გუშინ, საღამოს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ფილოსოფიის განყოფილებათა კრებამ მოისმინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ვ. ი. ნიჩეტას მოხსენება შემდეგ თემაზე: „დასავლეთი უკრაინისა და დასავლეთი ბელორუსიის ხალხთა ისტორიული ბედი“.

მომხსენებელმა დაახასიათა დასავლეთი უკრაინისა და დასავლეთი ბელორუსიის ხალხთა ისტორიული გზა, დაწყებული X საუკუნიდან დღევანდელ პერიოდამდე. მან მოგვაგონა, რომ ჯერ კიდევ 1914-1918 წლის ომამდე მრავალი პოლონელი პუბლიცისტი უარჰყოფდა ბელორუსი ხალხის არსებობას. პოლონეთის მმართველი წრეები ფაქტიურად საუსებით იზიარებდნენ ამ თვალსაზრისს ბელორუსების მიმართ. დასავლეთი უკრაინისა და დასავლეთი ბელორუსიის ხალხებს წართმეული ჰქონდათ შესაძლებლობა ჰქონოდათ საკუთარი სკოლა. პოლონეთის ერთერთმა მინისტრმა თხოვნაზე — გაეხსნათ თუნდაც კერძო ბელორუსული სკოლა, უპასუხა: „ბელორუსები არ არსებობენ“.

ხალხები, რომლებიც გმინავდნენ ჰანების უღელქვეშ, იმედით იყურებოდნენ აღმოსავლეთისაკენ, მძლავრი საბჭოთა კავშირისაკენ. დასავლეთი ბელორუსიისა და დასავლეთი უკრაინის მშრომელთა საუკუნოებრივი იმედები ასრულდა ჩვენს დროში.

მოსმენილი მოხსენების გამო კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია:

„ჰანების პოლონეთის მიერ საუკუნოების განმავლობაში დაჩაგრული ხალხები დასავლეთი უკრაინისა და დასავლეთი ბელორუსიისა ამჟამად გაანთავისუფლა დიადი საბჭოთა კავშირის წითელმა არმიამ და მოწოდებულნი არიან ახალი ბედნიერი შემოქმედებითი ცხოვრებისათვის. დაწყებული XIV საუკუნიდან ჩვენი ძმები უკრაინელები და ბელორუსები გმინავდნენ ნაციონალური და სოციალური უღლისა და ჩაგვრის ქვეშ. პოლონელი ფეოდალები, შემძვრალიები და აზნაურები ართმევდნენ ჩვენს ძმებს დედაენით სარგებლობის უფლებას, ფეხქვეშ სთელავდნენ ბელორუსებისა და უკრაინელების ნაციონალურ კულტურას.

პოლონეთის სახელმწიფოს გაკოტრება, რაც ამა წლის სექტემბრის პირველი 12 დღის განმავლობაში მოხდა, არის ყველაზე უფრო ნათელი ისტორიული მაგალითი იმისა, თუ რას იწვევს ნაციონალური ჩაგვრის უპატიოსნო და დამპალი სისტემა.

ამიტომ თანამედროვე ისტორიის უდიდესი პროგრესიული მნიშვნელობის აქტად ჩაითვლება კეთილშობილი მისია ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის, რომელიც აგვირგვინებს დასავლეთი უკრაინისა და დასავლეთი ბელორუსიის ხალხთა განთავისუფლებას“. (საკდესი).

მოსკოვი

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს— ამხანაგ სტალინს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს— ამხანაგ მოლოტოვს

ჩაის მწვანე ფოთლის დამზადების წლიური გეგმა საქართველოს საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს. 1939 წლის 1 ოქტომბრისათვის დამზადებულია 43.222 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი ანუ წლიური გეგმის 100,3 პროცენტი.

დამზადებულია 7.875 ტონით მეტი 1938 წლის ფაქტიურ დამზადებასთან შედარებით. პირველი ხარისხის ჩაის ფოთოლი მოკრეფილია 29.650 ტონა. ნაცვლად გასულ წელს დამზადებული 20.802 ტონისა.

საქართველოს ჩაის ტრესტის ჩაის ფაბრიკებმა სახელმწიფოს 1 ოქტომბრისათვის უკვე ჩააბარეს ბაიხის ჩაის 7.992.250 კილოგრამი მზა პროდუქცია. მზა პროდუქციის ჩაბარება და ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა გრძელდება.

საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი
კ. ჩარკვიანი
საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ვ. გაჩრაძე

დიდი გამარჯვება, დიდი ამოცანები

ორდენოსანი საქართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გმირული ბრძოლით, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით მორიგი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს ჩაის მეურნეობის დარგში. როგორც საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და საქ. სსრ სახკომსაბჭო ამხანაგებს **სტალინს** და **მოლოტოვს** ატყობინებენ, 1 ოქტომბრისათვის საქართველოში მოკრეფილია 43.222 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. ჩაის კრეფის 1939 წლის გეგმა შესრულებულია 100,3 პროცენტით.

თვალსაჩინო მიღწევებია მოპოვებული ჩაის მზა პროდუქციის გამოშვების საქმეში. 1 ოქტომბრისათვის ჩაის ფაბრიკებმა სახელმწიფოს უკვე ჩააბარეს ბაიხის ჩაის 7.992.250 კილოგრამი მზა პროდუქცია.

ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური გეგმის ვადამდე შესრულება ფრიად ღირსშესანიშნავი მოვლენაა. ეს ბრწყინვალე გამარჯვება თავისთავად არ მოსულა. იგი მოპოვებულია ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობითა და დახმარებით, პირადად დიდი **სტალინის** ბრძნული ხელმძღვანელობისა და მზრუნველობის შედეგად.

ჭართველი ხალხის საამაყო შვილს ამხანაგ **ლ. ბერიას** ხელმძღვანელობით საქართველომ შესანიშნავ წარმატებებს მიაღწია ჩაის მეურნეობის დარგში.

ყოველწლიურად იზრდება საბჭოთა საქართველოში ჩაის კულტურის ფართობი და მისი მოსავლიანობა. თუ 1932 წელს სრულმოსავლიანი პლანტაციის ერთი ჰექტარის საშუალო მოსავალი შეადგენდა 701 კილოგრამს ჩაის მწვანე ფოთოლს, 1938 წელს ჰექტარზე საშუალოდ მიღებულია 2.185 კილოგრამი. ჩაის კულტურა კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შეძლებულობის დაუშრეტელ წყაროდ გადაიქცა.

საბჭოთა სოფელში გაიზარდნენ ახალი ადამიანები — სტახანოველები, ჩვენი დროის ნამდვილი გმირები, რომლებიც ჩაის უხვი მოსავლისა და შრომის მაღალ ნაყოფიერებას იძლევიან. აი სტახანოველი კოლმეურნე ქეთინო სარსანია ზუგდიდის რაიონიდან, რომლის წარმატებებსაც საბჭოთა კავშირში კარგად იცნობენ. მან შარშან 0.75 ჰექტარზე 10.880 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მიიღო. წელს ერთ დღეს 350 კილოგრამი ჩაი მოჭრიფა, დღიური ნორმა 2.800 პროცენტით შეასრულა და მარტო ამ დღეს 42 შრომადღე გამოიმუშავა. ოჩამჩირის რაიონის სტახანოველმა კოლმეურნემ უშა ახუბამ წელს ერთ დღეს 311,5 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოჭრიფა და დღიური ნორმა 3.110 პროცენტით შეასრულა. ასეთი მაგალითები ბევრია.

ორდენოსანი საქართველოს ბრწყინვალე წარმატებანი ჩაის მეურნეობის დარგში ნათლად ასახულია საქართველოს სსრ პავილიონსა და სტენდებზე სრულიად - საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენაზე. გამოფენის მონაწილენი და ექსკურსანტები გაეცნენ ფრაბაში მოდიან იმ წარმატებებით, რომლებიც საბჭოთა საქართველოს მოუპოვებია ჩაის კულტურის აღმავლობისათვის.

ახლა ამოცანა ის არის, რომ განვამტკიცოთ ჩაის დარგში მოპოვებული წარმატებანი და ბოლშევიკურად ვიბრძოლოთ ახალ-ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად. ჩაის ფოთლის დამზადებისა და მზა პროდუქციის გამოშვების საქმეში მიღწეული გამარჯვება ოდნავაც არ წარმოადგენს თვითკმაყოფილებისა და თვითდამშვიდების საბაბს. უნდა გვახსოვდეს, რომ ეს მორიგი გამარჯვება დიდ ამოცანებს გვაკისრებს.

ამჟამად ჩაის ფოთლის კრეფა და მზა პროდუქციის გამოშვება გრძელდება. ჩაის ოიონების პარტიული, საბჭოთა და სამეწარმოთმფლო ორგანიზაციების ამოცანაა მთლიანად მოჰკრიფონ შემოსული ფოთოლი და არ დაუშვან მისი დანაკარგები. ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა უნდა შეასრულოს არა მარტო თვითეულმა რაიონმა, არამედ თვითეულმა საბჭოთა მეურნეობამ, კოლმეურნეობამ, ბრიგადამ, რგოლმა.

1942 წელს საქართველომ უნდა მოჰკრიფოს 70 ათას ტონაზე მეტი ჩაის მწვანე ფოთოლი. ეს გვავალებს თვალისჩინივით მოვუაროთ ჩაის პლანტაციებს და გადაჭრით ვიბრძოლოთ ჩაის მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისათვის. ამთავითვე უნდა შევუდგეთ მზადებას 1940 წელს ჩაის მაღალი სტანდარტული მოსავლის მისაღებად. ამისათვის საჭიროა სანიმუშოდ ჩავატაროთ ჩაის საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოები, როგორიცაა მინერალური სასუქების დროულად და სწორად შეტანა, ახალი სადრენაჟო არხების გაყვანა და ძველის რემონტი, ჩაის ბუჩქის გასხვლა. საზამთრო გადაბარება და სხვ. ამ სამუშაოთა წარმატებით შესრულება ნიშნავს 1940 წელს ჩაის უხვი მოსავლის მიღებას.

დიდი ამოცანების წინაშე დგანან ჩაის ფაბრიკები. ფაბრიკების ხელმძღვანელთა ვალია ამთავითვე შეუდგნენ სეზონისათვის მზადებას, მუშაობა იმნაირად წარმართონ, რომ არ დაუშვან ჩაის არომატის დაკარგვა გადამუშავებისა და კუპაჟირების დროს. ყველა ზომა უნდა იქნას მიღებული ჩაის მზა პროდუქციის ხარისხის კიდევ უფრო გაუმჯობესებისათვის.

მძლავრი საბჭოთა მთავრობის მეთაურის ამხანაგ **მოლოტოვის** მიერ ა. წ. 17 ოქტომბერს რადიოთი წარმოთქმულმა სიტყვამ ქართველი ხალხი მთელი საბჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად ალაფრთოვანა ახალ-ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. განსაკუთრებული ძალით ჩაღდება ამჟამად სოციალისტური შეჯიბრება. სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენამ მოწინავე გამოცდილებით გაამდიდრა ჩვენი კოლმეურნეობანი, ეს შესანიშნავი გამოცდილება ყველა კოლმეურნის, საბჭოთა მეურნეობის მუშის კუთვნილებად უნდა გადავაქციოთ.

ჩაის რაიონების ბოლშევიკების საბრძოლო ამოცანაა სათავეში ჩაუდგნენ მასების გაშლილ ინიციატივას და სხვა სამუშაოებთან ერთად სასახელოდ შეასრულონ ჩაის მესამე სტალინური ხუთწლედის საწარმოო დავალებანი.

უკანასკნელი ცნობები

თურქეთის მთავრობის განცხადება

ნიუ-იორკი, 1 ოქტომბერი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის საგენტო. ეშყარება რა სარწმუნო წყაროებს, ანკარიდან გადმოგვცემს, რომ თურქეთის მთავრობამ ინგლისსა და საფრანგეთს განუცხადა: თურქეთის ვალდებულებანი ურთიერთდახმარების შესახებ ანგლო-ფრანგულ-თურქეთის ხელშეკრულებით ძალაში შევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინგლისი და საფრანგეთი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომს დაიწყებენო.

გერმანიის საარღვობის კომუნიკე

ბერლინი, 1 ოქტომბერი (საკდესი). ტრანსოკეანეს საგენტო იუწყება, რომ დღეს გერმანიის უმაღლესმა სარდლობამ გამოაქვეყნა შემდეგი კომუნიკე: „აღმოსავლეთში ჩვენი ჯარისათვის ვარშავისა და მოდლინის გადაცემა დასახული გეგმის შესაბამისად მიმდინარეობს. დასავლეთის ფრონტზე, საარბრიუკენის რაიონში, მტერი გაძლიერებულ საარტილერიო სროლას აწარმოებს. ფრონტის სხვა ადგილებში მდგომარეობა უცვლელია. ჩვენმა თვითმფრინავებმა ჩამოაგდეს: დასავლეთში საფრანგეთის 2 და ინგლისის 10 თვითმფრინავი და ჩრდილოეთის ზღვაზე — ინგლისის 2 თვითმფრინავი. ჩვენ დავკარგეთ ორი თვითმფრინავი“.

ფონ-რიბენტროპის ლაბრუნება ბერლინში

ბერლინი, 1 ოქტომბერი (საკდესი). ტრანსოკეანეს საგენტო იუწყება, რომ 29 სექტემბერს ნაშუადღევს მოსკოვიდან ბერლინს დაბრუნდა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ფონ-რიბენტროპი. მის თანმხლებ პირებთან ერთად, ბერლინს დაბრუნების შემდეგ რიბენტროპი დაუყოვნებლივ წავიდა ჰიტლერთან პირადი მოხსენებისათვის.

კომპარტიის დევნა საფრანგეთში

ბრიუსელი, 1 ოქტომბერი (საკდესი). საფრანგეთის გაზეთები იუწყებიან, რომ კომპარტიის ყველა ორგანიზაციის შენობებში სწარმოებს ჩხრეკა და დოკუმენტების კონფისკაცია, რაც დაიწყო პირველსავე დამეს მას შემდეგ, რაც საფრანგეთის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება კომპარტიის დაშლის შესახებ.

თამბირი მარგანეცის მრეწველობის მუშაობის საკითხებზე

(ჭიათურა, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

30 სექტემბერს ჭიათურის მუშათა ცენტრალური კლუბში ჩატარდა თათბირი მარგანეცის მრეწველობის მუშაობის საკითხებზე.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი **ვ. გაჩრაძე.**

თათბირი გახსნა საქ. კ. პ. (ბ) ჭიათურის რაიკომის მდივანმა ამხ. **დ. ფორფოლიანმა.**

მარგანეცის ამოღება-გამდიდრების გეგმების შესრულების საკითხებზე ილაპარაკეს მარგანტრესტის მთავარმა ინჟინერმა ამხ. შ. შეყლაშვილმა, ლენინის სახელობის მაღაროს დირექტორმა ამხ. მ. ქამუშაძემ, დიმიტროვის სახელობის მაღაროს დირექტორმა ამხ. ს. ჯაფარიძემ, ბერიას სახელობის მაღაროს დირექტორმა ამხ. დ. ერგემლიძემ და სხვ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს მარგანეცის მრეწველობის მოწინავე ადამიანებმა ამხ. ტრ. ფოფხაძემ (ორდენოსანი), ს. ოთინაშვილმა, მარო კერესელიძემ, კ. ასანიძემ; კამათში გამოვიდნენ აგრეთვე ჭიათურის რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. გრ. ჭელი

ახალი საწარმოო გამარჯვებებით შევხვდეთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXII წლისთავს

ქარხანა „კრასნი პროლეტარის“ მუშაკთა კოლექტივის წერილი ჩვენი დიადი, უძლეველი სამშობლოს ყველა მუშისა და მუშა ქალისადმი, კოლმეურნისა და კოლმეურნე ქალისადმი, მოსამსახურისა და ინტელიგენციისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

ახლოვდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახელოვანი XXII წლისთავი.

ამ წლისთავს წინა დღეები აღინიშნა ისტორიული ამბებით. დაემხო მაორახისა და დამსჯელი რაზმების რეჟიმზე, უსასტიკესი ეროვნული და სოციალური ჩაგვრის საფუძველზე შექმნილი პანების პოლონეთი. შეასრულა რა მთელი საბჭოთა ხალხის ნება-სურვილი, სსრ კავშირის მთავრობამ 17 სექტემბერს გასცა ბრძანება წითელი არმიის ნაწილებისადმი გადასულიყვნენ საზღვარზე და დაეცვათ ჩვენი თვისტომი ძმები — უკრაინელები და ძმები — ბელორუსები.

გმირული წითელი არმია ლრისეულად და სახელოვნად ასრულებს თავის დიად განმათავისუფლებელ ამოცანას. წითელი არმია, რომელსაც განთავისუფლებული ხალხები ზეიმით ხვდებიან, აწყარებს რევოლუციურ წესრიგს, პანების უღლისაგან განთავისუფლებული მშრომელი მასებისათვის უზრუნველჰყოფს მშვიდობიან, ბედნიერ ცხოვრებას და მშვიდობიან შრომას. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXII წლისთავს დასავლეთ ბელორუსია და დასავლეთ უკრაინის ხალხები პირველად თავისუფლად იდღესასწაულებენ საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობამ გრანდიოზული ამოცანები დასახა ჩვენი დიადი სამშობლოს ხალხის წინაშე. მესამე სტალინურ ხუთწლედში ჩვენი საბჭოების მძლავრი ქვეყანა ახალ გიგანტურ ნაბიჯს სდგამს კომუნიზმის სრული გამარჯვების გზაზე.

პასუხად საბჭოთა მთავრობის მეთაურის ამხანაგ მოლოტოვის მოწოდებისა — პატიოსანი და თავდადებული შრომით დავეხმაროთ ჩვენს წითელ არმიას — იზრდება და ფართოვდება ახალი საწარმოო ორმავლობა, ამრავლებენ თავიანთ წარმატებებს ჩვენი ქვეყნის ფაბრიკებისა და ქარხნების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების სტახანოველები, ჩნდება საყოველთაო-სახალხო სტახანოვური მოძრაობის ახალ-ახალი ფორმები, რომლებითაც ჩვენი სამშობლოს საუკეთესო ადამიანები კიდევ და კიდევ ცხადჰყოფენ, რომ ისინი მზად არიან თავდადებით იბრძოლონ კომუნიზმის საქმისათვის.

ჩვენი მოსკოვის ლენინის ორდენოსანი დაზგათმშენებელი ქარხანა „კრასნი პროლეტარი“ მარშან გამოვიდა წინასაოქტომბრო შეჯიბრების ინიციატორად. ჩვენ ვიყავით აგრეთვე წინასაყრილობო შეჯიბრებისა და მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის შეჯიბრების ინიციატორები. ამ შეჯიბრებებში ჩვენ პატიოსნად შევასრულეთ ჩვენი ვალდებულებანი.

გასული წლის წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში ჩვენ ვიკისრეთ ვალდებულება წლიური გეგმის გადამეტებით დაგვემზადებინა 200 დაზგა. 1938 წელს ჩვენმა ქვეყანამ. კრასნი-პროლეტარელებისაგან გეგმის გადამეტებით მიიღო 229 დაზგა.

ჩვენ ვიკისრეთ ვალდებულება შეგვემცირებინა პროდუქციის თვითღირებულება 1938 წლის გეგმასთან შედარებით 3,5 პროცენტით, ხოლო ფაქტიურად მივაღწიეთ 4,6 პროცენტით შემცირებას.

ჩვენ ვიკისრეთ ვალდებულება ერთი მუშის გამომუშავება გაგვედიდებინა 8 პროცენტით 1938 წლის გეგმასთან შედარებით და 22 პროცენტით 1937 წლის გამომუშავებასთან შედარებით. კრასნიპროლეტარელებმა მიაღწიეს გამომუშავების გადიდებას 1938 წლის გეგმასთან შედარებით 12 პროცენტით და 1937 წლის გამომუშავებასთან შედარებით 25,2 პროცენტით.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის საბელობის სოციალისტურ შეჯიბრებაში და ყრილობის შემდეგ მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის შეჯიბრებაში, რომელიც მთელს ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს მოედო, ჩვენ ერთხელ კიდევ ვაჩვენეთ ჩვენი მოვალეობების პატიოსნად შესრულების მაგალითი.

ჩვენ ვიკისრეთ ვალდებულება პირველ კვარტალში გეგმის გადამეტებით დაგვემზადებინა 50 დაზგა, ხოლო 1 მაისისათვის—80 დაზგა. ჩვენი სიტყვა საქმეს არ დაშორებია. კრასნიპროლეტარელებმა პირველ კვარტალში გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 52 დაზგა, ხოლო 1 მაისისთვის—115 დაზგა.

ჩვენ გადამეტებით შევასრულეთ ჩვენი ვალდებულებანი ახალი ტიპის დაზგების ათვისების მხრივაც, შრომის ნაყოფიერების მხრივაც.

ჩვენი კოლექტივის წარმატებები, აღნიშნა მთავრობამ, რომელმაც ქარხანა დაუჯილდოვა ლენინის ორდენით, ხოლო მისი 45 საუკეთესო ადამიანი საბჭოთა კავშირის ორდენებით და მედლებით.

ახლა ჩვენს ქარხანაში ახალი სიძლავრით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. კოლექტივი ახალი სტახანოვური რეკორდებით ეგებება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახელოვან XXII წლისთავს. ბოლშევიკური საქმეებით უპასუხებენ ქარხნის საუკეთესო ადამიანები ამხანაგ მოლოტოვის მოწოდებას.

ორდენოსანმა მესატეხემ ამხ. ეორონკომა მოახდინა თავისი შრომის რაციონალიზაცია და ამ დღეებში ასრულებს გამომუშავების ნორმის 400-500 პროცენტს. ხარატი ამხ. ფილიმონოვი თავის დავალებას 300-400 პროცენტით ასრულებს. მღარველები ამხ. ზუდინი და ცარევი, მუშაობენ რა 3-4 დაზგაზე, თავიანთ ნორმებს 400 პროცენტით ასრულებენ, 300 პროცენტით ასრულებენ დავალებას ზეინკლები ამხ. კარავაევი, ბასტრიკინი, 7 ნორმას იძლევა ამხ. სავჩენკო, ზეინკლები ამხ. კუზნეცოვი, სტეპანოვი, კრიმოვი, მღებარი პიტერსკაია—ნორმის 200-250 პროცენტს იძლევიან.

დღითი-დღე იზრდება ქარხანაში მრავალდაზგეული რიცხვი: თუ ამ ცოტა ხნის წინათ ასეთები ერთეულებს შეადგენდნენ, ამჟამად უკვე ათეულები არიან.

ჩვენი ქარხნის თვითეული მუშა ახლა იმ აზრით ცოცხლობს, რომ იმუშაოს კიდევ უფრო კარგად, უფრო ნაყოფიერად, რათა ამით დახმარება გაუწიოს მშობლიურ წითელ არმიას, კიდევ უფრო განამტკიცოს საბჭოების ქვეყნის თავდაცვითი ძლიერება. ეს ჩვენ გვინერგავს რწმენას, რომ 1939 წლის დანარჩენ თვეებში ჩვენ წარმატებით შევასრულებთ წლიურ პროგრამას.

ჩვენ გადავწყვიტეთ ჩვენი დიდი, უძლეველი სამშობლოს ყველა მუშას და მუშა ქალს, კოლმეურნეს და კოლმეურნე ქალს, მოსამსახურეს და ინტელიგენციას მივმართოთ მოწოდებით აღნიშნონ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXII წლისთავი ახალი გამარჯვებებით, ჩვენი მამაცი წითელი არმიის, შესაფერისი, ჩვენი ლენინ-სტალინის დიადი პარტიის შესაფერისი გამარჯვებებით.

აი ჩვენი ვალდებულებანი:

1. მივცეთ ჩვენს ქვეყანას მარტო ოქტომბრის განმავლობაში გეგმის გადამეტებით 50 დაზგა.

2. მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში ქარხანამ მიიღო საპასუხისმგებლო და რთული პროგრამა—მისცეს ჩვენს ქვეყანას მძლავრი დაზგები, უფრო შრომისტევადი, ვიდრე ის პროდუქცია, რომელსაც ქარხანა წინათ უშვებდა. კრასნიპროლეტარელთა კოლექტივი კისრულობს ვალდებულების ადამიანთა ნაკლები რაოდენობით არა თუ მთლიანად არამედ გადაჭარბებითაც შეასრულოს მეოთხე კვარტალის პროგრამა, მისცეს ჩვენს ქვეყანას გეგმის გადამეტებით ასი დაზგა.

3. ჩვენ ვალდებულებას ვკისრულობთ წლის დაძლევისათვის საგეგმო დავალებით გათვალისწინებული 6,3 პროცენტის ხაცვლად 8 პროცენტით შევამცირო გამომშვებული პროდუქციის თვითღირებულება.

4. ჩვენს წმინდა მოვალეობად მივიჩნია ვიბრძოლოთ შრომის ნაყოფიერების შემდგომი აღმავლობისათვის. სტახანოვური რიგების გაღრმავების გზით, სტახანოვური სკოლების მუშაობის საუკეთესო გამოცდილების გადაცემით, ქარხანაში ახლახან მოსული ახალგაზრდა მუშების აღზრდის გზით, საგამომგონებლო და რაციონალიზატორულ წინადადებათა ფართოდ დანერგვისა და ტექნოლოგიური პროცესის შემდგომი გაუმჯობესების გზით კოლექტივი ვალდებულებას კისრულობს 16 პროცენტით გაადიდოს შრომის წლიური ნაყოფიერება გეგმით გათვალისწინებული 11 პროცენტის ნაცვლად. ჩვენ ამოცანად ვისახავთ მივაღწიოთ იმას, რომ ყველა ახალგაზრდა მუშა, რომელიც ქარხანაში მესამე კვარტალში მოვიდა, მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებდეს თავის ნორმას.

5. სახელოვანი სტახანოვური მოძრაობა შრომის ნაყოფიერების შემდგომი აღმავლობის საფუძველზე ახალ გზებს სახავს. ფართოვდება მრავალდაზგეთა მოძრაობა. ჩვენ ვალდებულებას ვკისრულობთ დავეხმაროთ ჩვენს სტახანოველებს უველგან, სადაც ეს საწარმოო ეფექტს იძლევა, გადავიდეთ რამდენიმე დაზგის მომსახურებაზე. მეოთხე კვარტალში მრავალი დაზგის მომსახურებაზე გადაყვანილ იქნება კიდევ 42 დაზგა (ამჟამად გადაყვანილი გვაქვს 88 დაზგა). ამისათვის გადასინჯულ იქნება მოწყობილობის განლაგება, გაუმჯობესდება ტექნოლოგიური პროცესი და წარმოების დაგეგმვა.

6. სოციალისტური მრეწველობის შემდგომი ზრდა აყენებს სსრ კავშირის ფაბრიკა-ქარხნებში ქალის შრომის გამოყენების გაფართოების საკითხს. ის გარემოება, რომ ჩვენი ქარხნები აღჭურვილია პირველხარისხოვანი ტექნიკით, იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ ეს გაკეთდეს ქალის ჯანმრთელობის სრულიად დაუზიანებლად. ამჟამად მრავალი ქალი არა მარტო მუშაობს დაზგებზე, არამედ ციდეც ხელმძღვანელობს საწარმოო უბნებს. ყოფილი მხეხავი ამხ. ვერეშჩეტინა, მღარველი ამხ. ჩერნოვა და მღებარი ამხ. ზალესკაია ცვლის ოსტატებად მუშაობენ. ჩვენ შემდეგშიც შევქმნით ყოველივე პირობას ჩვენი მუშა ქალების ტექნიკური დონის ზრდისათვის, ჩავაბამთ ქალებს საამქროების მუშაობაში, დავეხმარებით მათ მათთვის ახალი სპეციალობის ათვისებაში. მეოთხე კვარტალში ვალდებულებას ვკისრულობთ ჩავაბათ ქარხანაში, არანაკლებ ასი ქალისა და მათგან მაღალი კვალიფიკაციის მუშაკები მოვამზადოთ.

7. იწყება ზამთრის სეზონი, როდესაც მნიშვნელოვნად დიდდება სათბობისა და ელექტროენერგიის ხარჯვა. თვითეული საწარმოს, თვითეული დაწესებულების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გადამჭრელი ბრძოლა აწარმოოს სათბობისა და ენერგიის ეკონომიისათვის. ქარხნის კარგი დათბუნების და სათბობისა და ელექტროენერგიის რაციონალური გამოყენების გზით ვალდებულებას ვკისრულობთ მივაღწიოთ სათბობის ეკონომიას 10 პროცენტით და ელექტროენერგიას 10 პროცენტით და 1938 წლის ხარჯთან შედარებით.

ჩვენ მოვუწოდებთ საბჭოთა ინტელიგენციას იბრძოლოს საბჭოთა მეცნიერების — მსოფლიოში უყველაზე მოწინავე მეცნიერების — ახალი ბრწყინვალე გამარჯვებებისათვის, საბჭოთა კულტურის შემდგომი აყვავებისათვის, ჩვენი სახელმწიფო აპარატის ყველა რგოლის სამაგალითო მუშაობისათვის, მშრომელების საჭიროებათა საუკეთესოდ მომსახურებისათვის.

დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი სამშობლოს საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და დაწესებულებების კოლექტივები წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში იკისრებენ სოციალისტურ ვალდებულებებს და ყოველ ღონეს იხმარენ, რათა დროულად შეასრულონ ეს ვალდებულებანი. ეს უზრუნველჰყოფს ჩვენი სამშობლოს ძლიერების უფრო მეტ განმტკიცებას, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომ ზრდას.

ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს საბჭოთა მთავრობის მეთაურის ამხ. მოლოტოვის სიტყვები: „ჩვენი ამოცანა ამჟამად, თვითეული მუშისა და გლეხის, ამოცანა, თვითეული მოსამსახურისა და ინტელიგენტის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ პატიოსნად და თავდადებულად იშრომოს თავის პოსტზე და ამით დახმარება გაუწიოს წითელ არმიას“.

კიდევ უფრო მჭიდროდ დავირაზმოთ ჩვენი ლენინ-სტალინის უძლეველი ბოლშევიკური პარტიის გარშემო.

დიდი სტალინის ხელმძღვანელობით გავწიოთ წინ, კომუნიზმის ახალი გამარჯვებებისაკენ!

ქარხანა „კრასნი პროლეტარის“ კოლექტივის დავალებით: ქარხნის დირექტორი პ. ფ. ტარანჩენკო. პარტკომის მდივანი ა. ი. ფუკინი. ქარხკომის თავმჯდომარე დ. ტ. ბარანდეევი. სტახანოველები: კ. ი. სკვორცოვი, ი. ე. ვორონკოვი, ი. ა. კონკინი, ი. მ. ყაჯორნკინი, ფ. ი. ყარკოვი, პ. პ. პავლოვი, მ. ა. შნირევი, ი. ტ. ბილიბინი, ი. ა. რუპასოვი, პ. ი. ფილიმონოვი, ნ. ვ. ზალესკაია, ა. ნ. კაპუსტინი, ს. ვ. მაქსიმოვი, ა. ფ. მირონოვი.

წერილი მიღებულია ყველა ცვლის ხაამქროს კრებებზე.

(„პრავდა“, 1 ოქტომბერი).

საქართველოს საბჭოთა მწერლების მეორე ყრილობა

საქართველოს მწერალთა ღიფერაჯუნედი ფრონტი

ამხ. ილო მოსაშვილის მოხსენება*

ამხანაგებო! მწერლის ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობა ბევრად არის დამოკიდებული მის საყოფაცხოვრებო პირობებზე, იმაზე, თუ როგორია აქვს მას მოწყობილი თავისი ოჯახი, თავისი პირადი ცხოვრება, საბინაო პირობები, დასვენება, მკურნალობა და სხვ.

სწორედ ამ პირობების გაუმჯობესების მიზნით, საბჭოთა მთავრობის სპეციალური დადგენილების საფუძველზე, თავის დროზე, საბჭოთა მწერლების კავშირებთან ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში შექმნილ იქნა სპეციალური ორგანიზაცია ლიტერატურული ფონდის სახელწოდებით. მე დავალებული მაქვს საქართველოს საბჭოთა მწერლების მე-2 ყრილობას ჩავაბარო ინგლისში საქლიტფონდის მუშაობის შესახებ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე. ვეცდები ჩვენი მუშაობიდან მოვიყვანო მხოლოდ დამახასიათებელი ციფრები და ფაქტები.

ჩვენი ლიტერატურული ფონდის ახალი გამგეობა და დირექცია თავის მუშაობას შეუდგა ამ ორი წლის წინ, ე. ი. 1937 წლის აგვისტოს დამლევიდან.

როგორც მოგეხსენებათ, ის პირნი, რომელნიც ამ დრომდე საქლიტფონდის სათავეში იდგნენ, როგორც გამგეობაში, ისე დიექციაში, ზოგიერთნი აღმოჩნდნენ პოლიტიკურად და მორალურად გახრწნილი ადამიანები და რადგან ისინი კარგა ხანს „მოღვაწეობდნენ“ ლიტფონდში, ვასაკვირიც არ არის, რომ მათ ეს ორგანიზაციაც თითქმის სრულს განადგურებამდე მიიყვანეს.

იმის მაგიერ, რომ ლიტფონდს თავისი პირდაპირი ფუნქცია შეესრულებინა მწერალთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმეში და მათთვის შემოქმედებითი მუშაობა გაეადვილებინა, ამ ვაჟბატონებმა ეს დაწესებულება გადააქციეს ნახევრად სავაჭრო-საწარმოო ორგანიზაციად, რომლის აპარატში თავი ჰქონდათ მოყრილი დიდად დაკლონებულ კომბინატორებს და სისხლის სამართლის დამნაშავეებს, რომლებმაც ასეული ათასი მანეთის ზარალი მიაყენეს ამ დაწესებულებას.

ლიტფონდის ახალი გამგეობის და დირექციის ამოცანა იყო რაც შეიძლება მოკლე ხანში გამოეყვანა დაწესებულება ამ ქაოტიური მდგომარეობიდან, გადაეხალისებინა სრულიად უვარგისი და მოშლილი აპარატი და უმთავრესი ყურადღება მიექცია ლიტფონდის გამგეობაში ჩვენი მუშაობის ორგანიზაციისათვის.

საქმე ისაა, რომ მიუხედავად დიდი დახმარებისა, რომელსაც პარტია და საბჭოთა ხელისუფლება მწერლობას უწევენ, ჯერჯერობით ჩვენ კიდევ ვერ შევძელით მწერალთა საკმაო ნაწილის საჭირო საბინაო პირობებით დაკმაყოფილება. იმისთვის, რომ ამ ამხანაგებისათვის გაგვეადვილებინა შემოქმედებითი მუშაობა გაეადვილებინა, ამ ვაჟბატონებმა ეს დაწესებულება გადააქციეს ნახევრად სავაჭრო-საწარმოო ორგანიზაციად, რომლის აპარატში თავი ჰქონდათ მოყრილი დიდად დაკლონებულ კომბინატორებს და სისხლის სამართლის დამნაშავეებს, რომლებმაც ასეული ათასი მანეთის ზარალი მიაყენეს ამ დაწესებულებას.

ლიტფონდის ახალი გამგეობა და დირექცია დაუყოვნებლივ შეუდგა ამ ანომალიების ლიკვიდაციას. ჩვენ ვიპოვეთ ათეულობით ადამიანი, რომლებიც ლიტფონდის ხარჯზე ცხოვრობდნენ, ან სრულიად არაფერს არ აკეთებდნენ, ან ისეთ საქმეს აკეთებდნენ, რომელსაც ლიტფონდთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა. ჩვენ ეს ადამიანები ლიტფონდიდან გავაძევეთ.

ჩვენ ვიპოვეთ აგრეთვე ათეულობით ადამიანი, რომლებიც ლიტფონდის ხარჯზე ცხოვრობდნენ, მაგრამ ისინი ან ავადმყოფები იყვნენ, ან ხანდაზმული ასაკის მწერლების ოჯახის წევრები იყვნენ, ან ისეთი ადამიანები, რომლებიც ლიტფონდის ხარჯზე ცხოვრობდნენ, მაგრამ ისინი ან ლიტფონდის ორგანოებში მუშაობდნენ, ან ლიტფონდის სხვადასხვა დავალებას ასრულებდნენ. ჩვენ ეს ადამიანები ლიტფონდში დავტოვეთ.

ჩვენ ვიპოვეთ აგრეთვე ათეულობით ადამიანი

მოქიგი გაწვევა წითელ არმიასა და სამხედრო საზღვაო ფლოტში

სიხარულით მიდიან სახელოვან წითელ არმიაში

„სამშობლოს დაცვა არის სსრ კავშირის თვითეული მოქალაქის წმინდათა-წმინდა მოვალეობა“, ამ მტკიცე რწმენით გამსჭვალული ბედნიერი ახალგაზრდებით ივსება მუშათა და გლეხთა წითელი არმიის რიგები.

სიღნაღის რაიონის წვევამდელები პირველი დღიდანვე ორგანიზებულად და სიხარულით აღსავსენი ცხადდებიან გასაწვევ პუნქტზე. სოციალისტური სამშობლოს პატრიოტებს სიხარულის გრძნობებთან ერთად მოაქვთ ერთგულება სამშობლოსადმი, წითელი არმიისადმი, დიდი სტალინისადმი.

გამწვევ პუნქტზე ფუსფუსი და მხიარულებაა. ახალწვეულები მღერიან, ცეკვავენ, ერთობიან ჰარმონიკისა და შაშის თამაშით. პუნქტზე ახალწვეულთა ახალი ჯგუფი მოდის სიმღერით, მოაქვთ ამხანაგ ვოროშილოვის პორტრეტი, ალისფერი დროშები, ლოზუნგები. ესენი იყვნენ ახალწვეულები ტიბაანის სოფლისაბჭოდან.

ისინი გაეცვნენ განაწყსს, დაათვალიერეს სამხედრო და წითელი კუთხეები. დასვენების შემდეგ დადის ინტერესით მოისმინეს პოლიტსაუბარი.

ახალწვეულები პუშჭინაშვილი, ძმანაშვილი, ჩიქვინაშვილი და სხვები გამწვევი კომისიის თავმჯდომარეს სთხოვენ, რომ მათ შეღავათები არ მისცენ და მშობლიური წითელი არმიის რიგებში ჩარიცხონ.

თელავის რაიონიც წარმატებით მოემზადა გაწვევისათვის. პარტიულმა, საბჭოთა, კომკავშირულმა, თავდაცვა-ავიაქიმისა და სხვა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს, რომ გაწვევას ყოველმხრივ მომზადებულნი შეხვედროდნენ.

აი რა გააკეთეს მათ: რაიონში წერა-კითხვის უცოდინარი 172 წვევამდელი იყო, მათ უკვე დაამთავრეს წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები. 340 კაცმა დაამთავრა მცირემცოდნეობის სალიკვიდაციო სკოლა. ახალწვეულებმა მასობრივად ჩააბარეს ნორმები თავდაცვის ნიშნებზე; ვოროშილოვის სტრელკოვის ნორმები ჩაბარებული აქვს 352 ახალწვეულს, „მშთ“ ნიშანზე ჩაბარა 471 ახალწვეულმა. „მსთ“ და სპეციალური ნორმები თითქმის ყველამ ჩააბარა.

ახალწვეულებს ჩიგილაშვილს, ბასილაშვილს, ბაგათურს, გვიმრაძეს, კირვალიძეს, მამაჯანოვსა და ბოკორიძეს ჩაბარებული აქვთ თავდაცვის 4 სახის ნორმები.

ახალწვეულთა შორის არიან მოწინავე ადამიანები. ამხ. იაღუფოვი დაჯილდოებულია სპეციალური ნიშნით, დალაქიშვილი აბრეშუმაფსახვევი ქარხნის სტახანოველია და სხვ.

ორივე რაიონის გასაწვევ პუნქტებზე გაცხოველებით საუბრობენ მოსაცდელ დარბაზში, ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ აზრს. აკაკი ებრალიძეს სურს გახდეს მფრინავი, დიმიტრი ორაგველიძეს განზრახული აქვს გამოვიდეს წითელი მეთაური. მშობლებმა: პარმენ ორაგველიძემ, ნინო ორაგველიძემ და მოსე ჩხარტიშვილმა კომისარს მიმართეს შემდეგი განცხადებით—„ამხანაგო კომისარო! ჩვენი შვილები სრულიად ჯანსაღები არიან, მიღებული აქვთ საშუალო განათლება. ჩვენ კი გვსურს არავითარი შეღავათი. ძალიან გთხოვთ გაგზავნოთ ისინი უძლეველ წითელ არმიაში“. ნინო ორაგველიძემ თავის შვილს ასეთი სიტყვებით მიმართა: „სამშობლო გაძახის ასახელე, შვილო, შენი დედა, ჩემთვის ყველაზე ძვირფასია ის, რომ ვიყო გმირი შვილის დედა“.

ლანჩხუთის რაიონი წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის რიგებს ჯანსაღ და საუკეთესო შევსებას აძლევს.

ი. მამალაძე
მ. ფალავანდიშვილი

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ინსტრუქტორები

წითელი არმია იღებს საუკეთესო შევსებას

(ლანჩხუთი, „კომუნისტის“ კორ.)

რამდენიმე დღეა ლანჩხუთში დაიწყო მორიგი გაწვევა მუშურგლეხური წითელ არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტში. რაიონის მშრომელები ამ დღეს საზეიმო განწყობილებით შეხვდნენ. ქუჩებს, მოედნებს, დაწესებულებებს ამშვენებს წითელი დროშები და ლოზუნგები. თვალსაჩინო ადგილებზე გამოფენილია პარტიისა და მთავრობის ბელადების დიდი პორტრეტები.

დილით ადრე, ქალაქის საბჭოს ეზოში თავი მოიყარეს წვევამდელებმა. აქვე მრავლად მოვიდნენ ახალწვეულთა მშობლები, ძმები, დები. ყველა მხიარულობს, იცინის. მშობლები ჯანსაღ და კუნთმაგარ ბიჭებს აღფრთოვანებით მიაცილებენ საყვარელ მშობლიურ წითელ არმიაში.

კომისიამ დაიწყო მუშაობა. ახალწვეულნი გაცხოველებით საუბრობენ მოსაცდელ დარბაზში, ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ აზრს. აკაკი ებრალიძეს სურს გახდეს მფრინავი, დიმიტრი ორაგველიძეს განზრახული აქვს გამოვიდეს წითელი მეთაური. მშობლებმა: პარმენ ორაგველიძემ, ნინო ორაგველიძემ და მოსე ჩხარტიშვილმა კომისარს მიმართეს შემდეგი განცხადებით—„ამხანაგო კომისარო! ჩვენი შვილები სრულიად ჯანსაღები არიან, მიღებული აქვთ საშუალო განათლება. ჩვენ კი გვსურს არავითარი შეღავათი. ძალიან გთხოვთ გაგზავნოთ ისინი უძლეველ წითელ არმიაში“. ნინო ორაგველიძემ თავის შვილს ასეთი სიტყვებით მიმართა: „სამშობლო გაძახის ასახელე, შვილო, შენი დედა, ჩემთვის ყველაზე ძვირფასია ის, რომ ვიყო გმირი შვილის დედა“.

ლანჩხუთის რაიონი წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის რიგებს ჯანსაღ და საუკეთესო შევსებას აძლევს.

ა. სარჯველაძე

თბილისის რაიონის გასაწვევ პუნქტზე. სოფ. თელეთის კოლმეურნეობის „იმედის“ კოლმეურნე სტახანოველი თათულ მოსიევი (მარცხნივ) მადლობას უხდის გაწვევ კომისიას მისი შვილის კომკავშირელ არამ მოსიევის წითელი არმიის რიგებში მიღების გამო. ფოტო ჩერკასოვისა (საქრონიკა)

უცხოეთის პრესის გამოხმაურება გერმანია-საბჭოთა კავშირსა და ესტონეთ-საბჭოთა კავშირს შორის დადებულ ხელშეკრულებათა შესახებ

გერმანია

ბერლინი, 29 სექტემბერი (საკდესი). ყველა გაზეთი პირველ გვერდზე ჰბეჭდავს მოსკოვიდან მიღებულ ცნობას იმ სადილის შესახებ, რომელიც კრემლში გაიმართა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის რიბენტროპის პატივსაცემად. კორესპონდენციაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ კრემლში გამართული სადილი განსაკუთრებულ გულთბილ ატმოსფეროში ჩატარდა. მთელ რიგ სადღეგრძელოებში, ნათქვამია ცნობაში, გამოთქმული იყო სურვილი პოლიტიკურ და ეკონომიურ ურთიერთობათა შემდგომი გაღრმავებისა და გახმტკიცებისათვის გერმანიასა და სსრ კავშირს შორის.

ბერლინი, 29 სექტემბერი (საკდესი). გაზეთი „ფელკიშერ ბეობახტერი“ მოწინავე სტატიაში სწერს: „მტრები დიდი ხანია ცდილობდნენ, რათა ღრმა უფსკრული გაეთხარათ რუსეთსა და დიდ სახელმწიფოს შორის. მათ სურდათ დაეჯახებინათ საბჭოთა კავშირი გერმანიასთან. ინგლისი საფრანგეთის ცდები, რათა რუსები გამოეყენებინათ, როგორც ქვემების საკვები ხორცი ინგლისის იმპერიალისტური მიზნების მისაღწევად, არ გამართლდა. გერმანია და სსრ კავშირი მეგობრულ ურთიერთობის გზას დაადგნენ. ძველი დაძაბული ურთიერთობა, რაც მძიმე ეკონომიურ ზიანს აყენებდა ორივე მხარეს, გადასინჯულ იქნა. ხოლო ახლანდელი გერმანია — საბჭოთა კავშირის თანამშრომლობა უნდა განვიხილოთ, როგორც რადიკალური გარდატეხა.

ორივე ქვეყანას შორის ეკონომიურ, სავაჭრო და პოლიტიკურ ურთიერთობათა განვითარების უდიდეს შესაძლებლობასთან დაკავშირებით, —ამთავრებს გაზეთი, — გერმანიას ხალისით სურს წავიდეს მჭიდრო თანამშრომლობის გზით საბჭოთა კავშირთან, იმ გზით, რომელიც ნიშნავს ნამდვილ მობრუნებას ევროპის ისტორიაში“.

ბერლინი, 30 სექტემბერი (საკდესი). დილის ყველა გაზეთი ეხება გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის მეგობრობის შემდგომ გაღრმავებასა და განმტკიცებას. მოსკოვის მოლაპარაკების შედეგები მთელა გერმანიის პრესის მთავარ ყურადღებას იპყრობს. გაზეთი „ფელკიშერ ბეობახტერი“ მოწინავე სტატიაში, იძლევა რა მოლოტოვსა და რიბენტროპს შორის წარმოებული მოლაპარაკების შეფასებას, სწერს, რომ მოსკოვში ხელმოწერილ სამ საბუთს უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ყველა ხედავს, აცხადებს გაზეთი, რომ ევროპამ ამიერიდან შეიცვალა თავისი სახე. თავისი ტერიტორიითა და მოსახლეობით ყველაზე უფრო მდიდარმა ერებმა გადასწყვიტეს განავითარონ მეგობრობა ურთიერთ შორის. პრავის არ შეუძლია უყურადღებოდ აუაროს გვეღი ამ ფაქტს ევროპაში. ამას განგარიში უნდა გაუწიოს აგრეთვე ევროპის გარე მსოფლიომ. აღნიშნავს რა გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის უდიდეს მნიშვნელობას მშვიდობიანობის საქმისათვის, გაზეთი სწერს: „დღეს საფრანგეთისა და ინგლისის ხალხებმა გადასწყვიტონ ახლა, მშვიდობიანობა სურთ თუ ომი. სურთ თუ არა მათ დაჰღვაროს სისხლისა და ცრემლის ნაკადულები გაკოტრებული პოლიტიკოსების ინტერესების დასაცავად“.

ესტონეთი

ტალინი, 29 სექტემბერი (საკდესი). დღევანდელი ესტონური გაზეთები პირველ გვერდზე ჰბეჭდავენ სსრ კავშირსა და ესტონეთს შორის დადებული პაქტის ტექსტს ურთიერთდახმარების შესახებ. გაზეთი „პაევალეხტი“ მსხვილ სათაურებს წითელი საღებავით გამოჰყოფს. გაზეთი ათავსებს ამხანაგ სტალინის, მოლოტოვის, ვოროშილოვის, მიქოიანის პორტრეტებს. გაზეთები „უუს ესტი“ და „პაევალეხტი“ გადიდებული ტირაჟით გამოვიდა.

მოსახლეობამ კმაყოფილებით მიიღო ცნობა ურთიერთდახმარების პაქტის შესახებ სსრ კავშირსა და ესტონეთს შორის. ეს პაქტი, აცხადებენ მოწინავე ინტელიგენციის წრეებში, ნათლად გამოსახავს საბჭოთა მთავრობის თანმიმდევრობის პოლიტიკას ყველა ხალხის მშვიდობიანობის დაცვის საქმეში. ესტონეთის მოსახლეობამ ახლა მიიღო მტკიცე რწმენა მშვიდობიანი ცხოვრებისა, ცნობა ესტონეთში საბჭოთა საზღვაო ბაზებისა და აეროდრომების შექმნის შესახებ მიღებული როგორც რეალური დასაყრდენი მშვიდობიანობის განსამტკიცებლად.

ტალინი, 30 სექტემბერი (საკდესი). ესტონეთის გაზეთ „უუდისხლეხტის“ გუშინდელ გამოშვებაში ნათქვამია, რომ ურთიერთდახმარების პაქტს სსრ კავშირსა და ესტონეთს შორის სრული გარკვეულობა შეაქვს მეგობრულ ურთიერთობაში ესტონეთსა და სსრ კავშირს შორის. გაზეთი სწერს: „ესტონეთსა და საბჭოთა კავშირს შორის 20 წელია, რაც არავითარი დიდ დავას არ ჰქონია ადგილი, და ყველა გაუგებრობა მშვიდობიანი გზით სწყდებოდა“. გაზეთი განსაკუთრებით აღნიშნავს საქონელბრუნვის გადიდების დიდ პერსპექტივებს: „რაგინდ დიდხანს გაგრძელდეს ომი შიში აღარ გვექნება ბლოკადის გამო საიმპორტო საქონლის მიღების დაბრკოლებისა.

ურთიერთდახმარების პაქტი და სავაჭრო ხელშეკრულება ანმტკიცებს ჩვენში მშვიდობიან განწყობილებასა და რწმენას“.

ტალინი, 30 სექტემბერი (საკდესი). ესტონეთის ყველა გაზეთი დღეს დაწვრილებითის კომენტარებს უკეთებს საბჭოთა კავშირისა და ესტონეთის ურთიერთდახმარების პაქტის შინაარსს. გაზეთები ერთსულოვნად იწონებენ პაქტის დადებას, ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მისი შინაარსი გამომდინარეობს 1920 წლის სამშვიდობო ხელშეკრულების პრინციპებიდან და უფრო მეტად ანმტკიცებს და ანვითარებს მეგობრულ ურთიერთობას ესტონეთსა და სსრ კავშირს შორის.

გაზეთ „უუს ესტი“ განსაკუთრებული ხაზგასმით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ პაქტი ურთიერთდახმარების შესახებ დიდად ანმტკიცებს ესტონეთის დამოუკიდებლობის უშიშროებას.

გაზეთი „რახვალეხტი“ სწერს, რომ ურთიერთდახმარების პაქტის დადება სსრ კავშირთან შეესაბამება ესტონეთის სურვილს. „თანამშრომლობის ამ ხელშეკრულებამ, — სწერს გაზეთი, — გადასწყვიტა ისეთი საკითხები, რომლებსაც სხვაგან სისხლისმღვრელი შეტაკება გამოუწვევია. რას შეუძლია კიდევ უფრო მეტად ასწიოს დიდი საბჭოთა სახელმწიფოს პრესტიჟი მთელი მსოფლიოს წინაშე, თუ არა ასეთი თანამშრომლობის შესაძლებლობას მცირე სახელმწიფოებთან! ძნელია კაცმა წარმოიდგინოს უკეთესი მაგალითი მშვიდობიანი თანამშრომლობის დამყარებისა“.

ლატვია

რიგა, 29 სექტემბერი (საკდესი). საზოგადოებრივი აზრი მოითმენლად მოელოდა მოლაპარაკების შედეგებს სსრ კავშირსა და გერმანიას და სსრ კავშირსა და ესტონეთს შორის. ლატვიის დილის გაზეთებმა უკვე მოასწრეს გამოექვეყნებინათ ცნობა ურთიერთდახმარების პაქტის შესახებ სსრ კავშირსა და ესტონეთს შორის. გაზეთების დღის გამოცემებში დაბეჭდილია გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების სრული ტექსტი მეგობრობის შესახებ და ურთიერთდახმარების პაქტის ტექსტი სსრ კავშირსა და ესტონეთს შორის, საბჭოთა მთავრობისა და გერმანიის მთავრობის განცხადება. ამ მოლოტოვის წერილი და რიბენტროპის პასუხი. როგის გაზეთები ჰბეჭდავენ კორესპონდენციებს ესტონეთიდან. ესტონეთის პრესის კომენტარებში, რასაც ისინი უკეთებენ სსრ კავშირსა და ესტონეთს შორის დადებულ პაქტს ურთიერთდახმარების შესახებ, ხაზგასმით აღნიშნულია, რომ პაქტი საბოლოოდ აწესრიგებს ურთიერთობას სსრ კავშირსა და ესტონეთს შორის და რომ ეს პაქტი აკმაყოფილებს ორივე მხარეს.

რიგა, 30 სექტემბერი (საკდესი). დღეს ლატვიის გაზეთებში მოთავსებულ მასალებს შემდეგი სათაურები აქვთ: „საბჭოთა კავშირი სავსებით აღიარებს ბალტიის სახელმწიფოთა სუვერენიტეტს“, „ბალტიის სახელმწიფოებს გაბედულად შეუძლიათ უცქიროონ მომავალს“.

რიგა, 30 სექტემბერი (საკდესი). გაზეთი „რიტსი“ სტატიაში, რომლის სათაურია „მნიშვნელოვანი ხელშეკრულებანი“, სწერს: „მოსკოვში გუშინ ხელი მოაწერეს ორ მნიშვნელოვან ხელშეკრულებას. სსრ კავშირსა და ესტონეთს შორის ხელმოწერილია ხელშეკრულება ურთიერთდახმარების შესახებ და სავაჭრო ხელშეკრულება, ხოლო გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის ხელშეკრულება მეგობრობისა და საზღვრის შესახებ“. გაღმოსცემს რა მოკლედ საბჭოთა კავშირსა და ესტონეთის პაქტის შინაარსს, გაზეთი შემდეგ სწერს:

„ხელშეკრულება მეგობრობისა და საზღვრის შესახებ სსრ კავშირსა და გერმანიას შორის ითვალისწინებს კიდევ უფრო ფართო შეთანხმებას ორივე სახელმწიფოს შორის. ამასთან ეს სახელმწიფოები ერთსულოვნად განუცხადებენ მოკავშირეებს თავის ცნობილ შეხედულებებს, სურთ რა, რომ სულ უახლოეს დროში გათავდეს ომი და უზრუნველჰყოფილ იქნას მშვიდობიანობა. ამ ხელშეკრულებათა საფუძვლებია — მშვიდობიანობის უზრუნველყოფა აღმოსავლეთ ევროპაში და აქ მცხოვრებ ხალხებისათვის წესრიგის უზრუნველყოფა, მათი მშვიდობიანი არსებობის უზრუნველყოფა, რაც ამ ხალხების ნაციონალურ თავისებურებას შეეფერება“.

მოჰყავს რა ხელშეკრულების შინაარსი, გაზეთი სწერს, რომ „ხელშეკრულების დამდებ ორივე სახელმწიფოს შორის ერთმანეთის ინტერესების ფართო გაგებამ შეჰქმნა წინაპირობები ამ სახელმწიფოთა თანამშრომლობისა და მშვიდობიანი მუშაობის გასაფართოებლად. შემდგომი მოლაპარაკება, რომელიც არაპირდაპირ, თუ პირდაპირ იწარმოებს საომარი მოქმედების დამთავრების შესახებ დასავლეთში, დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა პოზიციას დაიკავებენ დასავლეთი სახელმწიფოები სსრ კავშირსა და გერმანიას შორის მეგობრობისა და საზღვრის შესახებ ხელშეკრულების დადების შემდეგ“.

ბულგარეთი

სოფია, 29 სექტემბერი (საკდესი). ბულგარეთის გაზეთები „დნეს“ და „დნევნიკი“ აქვეყნებენ გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებას მეგობრობის შესახებ და სხვა საბუთებს, აგრეთვე საბჭოთა კავშირისა და ესტონეთის პაქტის ტექსტს ურთიერთდახმარების შესახებ. ოფიციოზი „დნევნი“ მოწინავე წერილში, სხვათა შორის, სწერს:

„დღეს არავინ არ უარჰყოფს, რომ რევოლუციის შედეგად დიდი სახელმწიფო შეიქმნა, რომელმაც მოაწყო თავისი სახელმწიფოებრივი მეურნეობა, გასაქანი მისცა შემომქმედ ძალებს და შეჰქმნა უძლიერესი არმია მსოფლიოში“. „რუსული პოლიტიკა, — განაგრძობს ოფიციოზი,—ისწრაფვის ხალხებთან მეგობრობის დამყარებისაკენ. რუსეთის ისტორიული მისიაა: შემოქმედებითი შრომით მშვიდობიანი ზემოქმედება მოახდინოს ჩვენი ეპოქის ეკონომიურ და პოლიტიკურ სისტემაზე“.

თურქეთი

ანკარა, 30 სექტემბერი (საკდესი). ჟურნალისტი იუნუს ნადი სწერს: „სსრ კავშირის პოლიტიკის შედეგად ბალკანეთის ქვეყნები ომის გარეშე იმყოფებიან. ამჟამად ბალკანეთზე ისეთი სიმშვიდეა, რომ გსურს სთქვა: სსრ კავშირმა თავისი პოლიტიკით ყველაზე უფრო ეფექტიური სამსახური გაუწია მშვიდობიანობის ფრონტს.

საბჭოთა კავშირმა უზრუნველჰყო ნდობა და მშვიდობიანობა ბალკანეთზე. ამ პირობებში საბჭოთა კავშირი უდიდეს როლს ასრულებს ევროპის ძალთა წონასწორობაში“.

ჩინეთი

შანხაი, 30 სექტემბერი (საკდესი). დღეს შანხაის გაზეთებმა პირველ გვერდზე გამოაქვეყნეს საკდესის ცნობა სსრ კავშირსა და გერმანიას შორის მეგობრობის ხელშეკრულებისა და საბჭოთა კავშირსა და ესტონეთის პაქტის ტექსტს ურთიერთდახმარების შესახებ. ოფიციოზი „დნესი“ მოწინავე წერილში, სხვათა შორის, სწერს:

„დღეს არავინ არ უარჰყოფს, რომ რევოლუციის შედეგად დიდი სახელმწიფო შეიქმნა, რომელმაც მოაწყო თავისი სახელმწიფოებრივი მეურნეობა, გასაქანი მისცა შემომქმედ ძალებს და შეჰქმნა უძლიერესი არმია მსოფლიოში“. „რუსული პოლიტიკა, — განაგრძობს ოფიციოზი,—ისწრაფვის ხალხებთან მეგობრობის დამყარებისაკენ. რუსეთის ისტორიული მისიაა: შემოქმედებითი შრომით მშვიდობიანი ზემოქმედება მოახდინოს ჩვენი ეპოქის ეკონომიურ და პოლიტიკურ სისტემაზე“.

საქ. სსრ სახკომსაბჭოსა და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

შაქრის ჭარხლის 1939 წლის მოსავლის აღებისა და გადაზიდვის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს საკითხი საქართველოში შაქრის ჭარხლის 1939 წლის მოსავლის აღებისა და გადაზიდვის მიმდინარეობის შესახებ და აღნიშნეს, რომ შაქრის ჭარხლის მოსავლის აღების პირველმა დღეებმა გამოავლინეს მთელი რიგი ნაკლოვანებანი ჭარხლის ამოთხრისა და გადაზიდვის მიმდინარეობის საქმეში, სახელდობრ:

დარღვეულია შაქრის ჭარხლის ამოთხრისა და გადაზიდვის ხუთდღიური გრაფიკი. პირველ ხუთდღიურში, ნაცვლად 4.5 პროცენტისა, აღებულია მთელი ასაღები ფართობის 3,6 პროცენტი. მოსავლის აღებაში ჩამორჩენაა კასპის რაიონში 20 ჰექტარით და გორის რაიონში 10 ჰექტარით.

ჩამორჩენას ადგილი აქვს ამოთხრილი ჭარხლის ჩაბარების საქმეშიც: 25 სექტემბრისათვის ამოთხრილი 41.597 ცენტნერი მოსავლიდან მიმდები პუნქტისათვის ჩაბარებული იყო 38.718 ცენტნერი. შაქრის ჭარხლის ჩაბარებაში დიდი გართულებაა გორის რაიონში, სადაც ამოღებული 9.444 ცენტნერიდან ჩაუბარებელია 2.137 ცენტნერი, ხაშურის რაიონში 7.500 ცენტნერიდან — 322 ცენტნერი და კასპის რაიონში 4.650 ცენტნერიდან— 420 ცენტნერი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალეს შაქრის ჭარხლის რაიონების რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს რაიკომების მდივნებსა და მტს-ების დირექტორებს დაუყოვნებლივ შეამოწმონ ყველა კოლმეურნეობაში შაქრის ჭარხლის მოსავლის აღების მდგომარეობა, განსაკუთრებით ამოთხრისა და გასუფთავების ხარისხი და მიიღონ ზომები ყველა ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

ამავე დადგენილებით აკრძალულია შაქრის ჭარხლის ფართობებზე მოსავლის აღებისა და გადაზიდვის დამთავრებამდე პირუტყვის ძოვება და ქვება; ჭარხლის მწვანე მასა პირველ რიგში გამოსაყენებელ უნდა იქნეს სილოსისათვის და ნარჩენები — კი — პირუტყვის საკვებად ბოლომდე სრულიად გამოიყენონ.

კოლმეურნეობათა გამგეობებს რჩევა მიეცათ შაქრის ჭარხლის ამოთხრა რგოლის ფართობზე დაიწყონ ერთდროულად ყველა მწკრივებში, არ დასტოვონ აუღებელად ჭარხლის როგორც, მწკრივები, ისე ძირები, განურჩევლად მათი სიდიდისა. ჭარხლის ხელით ამოთხრილებით და მანქანებით ამოთხრისას არ დაუშვან ძირების დაზიანება. ძირები მიწიდან ამოჰკრიფონ მოთხრის მიმდინარეობასთანავე, მაშინვე და დაჰყარონ გროვებად ფოთლებით გარეთ. მანქანით ამოთხრის დროს დარჩენილი ყველა ძირი უნდა ამოიხროს ხელით მხოლოდ ჭარხლის სპეციალური ფიწლები და არ იქნეს დაშვებული ძირების დაზიანება. ნედლეულის გადაზიდვისას გზაში მოსავლის დანაკარგების თავიდან ასაცილებლად ურმებზე უნდა დაიდგას მჭიდრო ყუთები ან გაკეთდეს ლასტები და პირუტყვის მიერ ძირების შეჭმის თავიდან ასაცილებლად ურმების ბოლოზედაც გაკეთდეს საფარი. ჭარხალს გადაზიდვის დროს ავტომანქანებსა და ურმებს ახურკლებლად უნდა დაეფაროს ჭიხვები.

სახკომსაბჭომ და ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალეს ჭარხლის რაიონების რაიაღმასკომებსა და საქ. კ. პ. (ბ) რაიკომებს, მტს-ების დირექტორებს და კოლმეურნეობათა გამგეობებს დაუყოვნებლივ გამოჰყონ ყველა კოლმეურნეობაში გამოცდილი და შემოწმებული კოლმეურნეები და მიამაგრონ ისინი ჭარხლის ცალკეულ ნაკვეთებს მოსავლის დაცვისათვის მთელი დღეღამის განმავლობაში, ამავე დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ჭარხლის დატაცების აღკვეთას როგორც მინდვრად, ისე გადაზიდვის დროს.

ის პირები, რომლებიც შენიშნული იქნებიან ჭარხლის დატაცებაში დაუყოვნებლივ მიეცემიან უნდა იქნან სისხლის სამართლის პასუხისგებაში. როგორც საზოგადოებრივი ქონების გამნიავებლები.

შაქრის ქარხნის დირექტორს ამხ. საყვარელიძეს წინადადება მიეცა: უზრუნველჰყოს ყველა მიმღებ პუნქტზე ქარხანაში გასაგზავნი ჭარხლის ვაგონების დატვირთამდე ჭილობებით დაფარვა და დაამყაროს ისეთი წესი, რომელიც უზრუნველჰყოფს პუნქტებზე მოსავლის დაცვას დატაცებისა და დანაკარგებისაგან. მასვე დაევალა სამი დღის ვადაში გასცეს ჭარხლის ყველა კოლმეურნეობაზე საფარები (ჩილობები) საჭირო რაოდენობით.

ხაშურისა და ქარელის რაიონების პარტრაიკომების მდივნებს დაევალათ სამი დღის ვადაში მიავლინონ კოლმეურნეები აგარის შაქრის ქარხანაში ჭარხლის მინდვრად დამზვინვათა ცურსებზე მოსამზადებლად.

შაქრის ჭარხლის მთესველი რაიონების რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს დაევალათ 5 დღის ვადაში დაამთავრონ იმ გზებისა და ბოგირების შეკეთება, რომლებზედაც გადაზიდული იქნება ჭარხალი.

რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს და საქ. კ. პ. (ბ) რაიკომების მდივნებს დაევალათ ფართოდ განუმარტონ აღნიშნული დადგენილება ყველა კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს და თვითეული კოლმეურნეობისა და ბრიგადისათვის დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი მისი განხორციელებისათვის, ფართოდ დარაზმონ კოლმეურნეთა მასები შაქრის ჭარხლის მოსავლის მაღალხარისხოვნად აღებისა და კოლმეურნეობების მიერ სახელმწიფო ვალდებულებათა დროულად შესრულებისათვის, აგრეთვე მოსავლის დატაცებისა და დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

ბერკს არ მისცეს რუმინეთიდან გასვლის ვიზა

ბერლინი, 29 სექტემბერი (საკდესი). ბელგრადიდან იუწყებიან, რომ რუმინეთის მთავრობამ საბოლოოდ უთხრა უარი პოლონეთის საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრ ბეკს რუმინეთიდან გასვლის ვიზის მიცემაზე. ეს გადაწყვეტილება ვრცელდება აგრეთვე პოლონეთის ყოფილი მთავრობის ყველა წევრზე, რომლებიც რუმინეთში გადაცხენ. ყველა ისინი ინტერნირებულ იქნებიან რუმინეთში.

პოლონეთის ოქროს კონფისკაცია რუმინეთის მთავრობის მიერ

ბერლინი, 30 სექტემბერი (საკდესი). ბუდაპეშტიდან გადმოგვცემენ, რომ პოლონელ ლტოლვილების შესანახავად გაწეული წარჯის დასაფარავად, რუმინეთის მთავრობამ კონფისკაცია უყო პოლონეთის ოქროს, რომელიც ამჟამად ბუქარესტშია. როგორც ვიცით, პოლონეთის ოქროს ნაწილი ამას წინათ ინგლისს გაიგზავნა.

ჩიანო ბერლინს გაემგზავრა

ბერლინი, 30 სექტემბერი (საკდესი). როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, გერმანიის მთავრობის მიწვევით 30 სექტემბერს, შუადღისას, ბერლინში ჩავა იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი ჩიანო.

ღრიდ ჯორჯის სტატია

ლონდონი, 29 სექტემბერი (საკდესი). გუშინ გაზეთში „ორჭმო პოსტმა“ გამოაქვეყნა ლოიდ ჯორჯის სტატია პოლონეთის ლონდონელი ელჩის რაჩინსკის წერილის საპასუხოდ. ეხება რა პოლონეთის ყოფილ მთავრობას, ლოიდ ჯორჯი სწერს: „მე მეზიზღება მთავრობა, რომელიც საკუთარი თავის გადასარჩენად გაიქცა სხვა ქვეყანაში მაშინ, როცა მისი ჯარისკაცები ბრძოლას განაგრძობდნენ“.

ბელგიის კომპარტიის გაზეთის კონფისკაცია

პარიზი, 29 სექტემბერი (საკდესი). ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ დღეს პროკურატურის განკარგულებით ბრიუსელში კონფისკაცია უყვეს ბელგიის კომპარტიის გაზეთს „ვუა დიუ პეპლს“. კონფისკაციის მიზეზი, სააგენტოს სიტყვით, იმაში მდგომარეობს, რომ გაზეთმა მოათავსა „ინგლისის შეუიარაღოფელი სტატიები“.

არქეოლოგიას განცხადება

ბუქარესტი, 30 სექტემბერი (საკდესი). რუმინეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ პრესის წარმომადგენლებისათვის მიცემულ ინტერვიუში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ კონსტანტინე არეტის სამმა ლეიბორისტმა და ერთმა კონსერვატორმა წევრმა წინადადება შეიტანა, რათა დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნას თემთა პალატის დახურული სხდომა. პარლამენტის მრავალი წევრი განაგრძობს მოთხოვნას, რათა მოწვეულ იქნას თემთა პალატის დახურული სხდომა.

ინგლისის ინფორმაციის სამინისტროს ცნობა

ლონდონი, 1 ოქტომბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო რადიოთი იუწყება, რომ, ინფორმაციის სამინისტროს ცნობით, ინგლისის თვითმფრინავებმა კვლავ იფრინეს დღისით და ღამით გერმანიის ტერიტორიაზე.

„ჩვენს თვითმფრინავებზე, — ნათქვამია ცნობაში, — რომელნიც დაზვერვას ახდენდნენ დასავლეთის ფრონტზე, იერიში მიიტანეს მტრის თვითმფრინავებმა გერმანიის ტერიტორიაზე. საჰაერო ბრძოლა გაიმართა დიდ სიმაღლეზე. ჩვენი თვითმფრინავები რამდენიმე დაზარალდნენ. მტრის დანაკლისი გამოურკვეველია“.

ინგლისის ავიაციის სამინისტროს ცნობა

ლონდონი, 1 ოქტომბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო რადიოთი იუწყება, ავიაციის სამინისტრომ განაცხადა, რომ ინგლისის მფრინავებმა საფრანგეთში წყაფი ინგლისის ჯარის შტაბში მოიტანეს ზიგფრიდის ხაზის ყველაზე ძლიერ გამაგრებული ზონის ფოტოგრაფიების სერია. აეროფოტოგადაღება სწარმოებდა სიმაღლიდან, რომელიც 600 ფუტს არ აღემატებოდა. მფრინავებმა შესძლეს გადაეღოთ ტანკების საწინააღმდეგო მკლის ორმოების განლაგება, სხვადასხვა ტიპის შენიღბვა და საკომუნიკაციო ხაზების მდებარეობა. საზენიტო ბატარეებს არცერთი მფრინავი არ შეხვედრია.

ბელგიის სააგენტოს ცნობა

ბრიუსელი, 1 ოქტომბერი (საკდესი). ბელგიის სააგენტო ეიპენიდან იუწყება, რომ, სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ცნობების თანახმად, ახახინის რაიონში ჯარების არავითარი კონცენტრაცია არ ხდება.

იაპონიის შეჯება ჩანშაზე შენელდა

ლონდონი, 1 ოქტომბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი შანხაიდან იუწყება, რომ, ცუდ ამინდთან დაკავშირებით, შენელდა იაპონიის შეტევა ჩანშაზე. სამი უკანასკნელი დღის განმავლობაში იაპონიის თვითმფრინავები ყუმბარებს უშენდნენ ქალაქს. ჩანშის სამოქალაქო მოსახლეობის ნახევარმა დასტოვა ქალაქი.

თურქეთში გრძელდება მიწისძვრა

ანკარა, 30 სექტემბერი (საკდესი). მიწისძვრა თურქეთში, რომელიც 24 სექტემბერს დაიწყო იზმ

ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ


ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲔᲑᲘᲡ ᲡᲥᲔᲛᲐ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲔᲑᲘ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲑᲘ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲔᲑᲘ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲑᲘ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲑᲘ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢ